

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №03/31

ქ. ბათუმი

03 აპრილი 2020 წ

**სასწავლო უნივერსიტეტში შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების დამტკიცების შესახებ**

„საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მეორე მუხლის გათვალისწინებით, „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. კორონა ინფექციის გამო სასწავლო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიურ კალენდარში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
  - ა) სასწავლო კურსების/ ბლოკების/მოდულების თეორიულ ნაწილი (ლექცია, სემინარები და ლაბორატორიული მეცადინეობების ნაწილი) დასრულდება 2020 წლის 5 ივლისს;
  - ბ) მიმდინარე შეფასებისას სტუდენტები უნდა შეფასდნენ მხოლოდ თეორიულ ნაწილში, ასევე სტუდენტი შეფასდება შუალედური (ბლოკის გამოცდებით) და დასკვნითი გამოცდებით;
  - გ) კლინიკურ სასწავლო კურსებში, რომელიც ითვალისწინებდა შეფასებას კლინიკური როტაციებისას ამბულატორიებში, ან პაციენტის საწოლთან, ან სიმულაციურ გარემოში მანეკენებთან, ან ლაბორატორიული მუშაობისას, შეფასება განხორციელდება სასწავლო პროცესის ჩვეულ რეჟიმში განახლების შემდგომ.
  - დ) დასკვნით გამოცდებამდე მიმდინარე შეფასების დაჯამებისას მესამე პუნქტში აღნიშნული შეფასებები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. ანუ კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში სწავლებისას დასაგროვებელი შეფასებები გამოაკლდება სტუდენტის შეფასების ყველა კომპონენტს და განხორციელდება სტუდენტთა მიერ ჩვეულ რეჟიმში სწავლის განახლებისა და სასწავლო კურსების კლინიკური/სიმულაციური/ლაბორატორიული კომპონენტების ათვისების შემდეგ;

- ე) დასკვნითი გამოცდები საბაზისო სასწავლო კურსების/ ბლოკების თეორიულ ნაწილში ჩატარდეს 2020 წლის 5 დან 26 ივლისამდე;
- ვ) კლინიკურ სასწავლო კურსებში თეორიული ნაწილის დასკვნითი გამოცდები ჩატარდება სასწავლო კურსის დასრულებისთანავე;
- ზ) დასკვნითი გამოცდების გადაბარებები (დამატებითი გამოცდები) ჩატარდეს 26 ივლისიდან 31 ივლისამდე;
- თ) ზეპირი გამოცდების ხანგრძლივობა თითოეულ სასწავლო კურსზე/ბლოკზე განისაზღვრება ყოველ სტუდენტზე 10 წუთის გადაანგარიშებით.
- ი) 2020 წლის პირველი აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე პერიოდში გამოცხადდეს შუა სემესტრული არდადეგები.
- კ) გაზაფხულის სემესტრის დარჩენილი მეცადინეობები განახლდეს 2020 წლის 01 სექტემბერიდან;
- ლ) საგანმანათლებლო პროგრამითა და გაზაფხულის სემესტრის სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული კლინიკური ვიზიტები, კლინიკური როტაციები და საბაზისო სასწავლო კურსების ის ნაწილი, სადაც ხდება სწავლება სიმულაციურ გარემოში და ლაბორატორიებში, მათ შორის გვამების ლაბორატორიაში, ჩატარდება სექტემბრში ჩვეული რეჟიმით;
- მ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები ჩატარდება 2020 წლის 28 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე პერიოდში;
- ნ) კლინიკური ნაწილის შეფასებისას, სტუდენტმა უნდა დააგროვოს სილაბუსით გათვალისწინებული შესაბამისი ზღურბლოვანი ქულა. თუ სტუდენტი ვერ გადალახავს ამ ზღურბლს, მიუხედავად იმისა ექნება თუ არა თეორიული ნაწილის დასკვნითი გამოცდის ზღურბლი გადალახული, სასწავლო კურსი არ ჩაეთვლება ათვისებულად;
- ბრძანების დანართი განთავსდეს ბაუ-ს ვებ-გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბაუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;
  - ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.

რექტორი  
დემეთ აქინ

